

ვალერიან მატოველი  
გიორგი დავითაშვილი

პოლიტიკურ და  
სამართლებრივ  
მოძღვრებათა  
ცეტრისა

(ლექციების კურსი)

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი

1999

ფონებრივი ხელისუფლების შეცვლა.

## §5. XVI-XVII საუკუნეების უტოკიური სოციალიზმის თარომადგენელთა პოლიტიკურ-სამართლებრივი იღება

ამ პერიოდში კაპიტალისტური ურთიერთობების ჩასახვამ და განვითარებამ მნიშვნელოვნად გაართულა მშრომელი ხალხის მდგომარეობა. ზოგ ქვეყნებში მრეწველობის განვითარებამ (მაგალითად, ინგლისში საფეიქრო მრეწველობის) გამოიწვია გლეხების აყრა საცხოვრებელი ადგილებიდან და მათი გადასახლება. საწარმოთა მუშები უმკაცრეს პირობებში ცხოვრობდნენ, ხოლო უამრავი უმუშევარი დანაშაულებრივი გზით ცდილობდა თავის გადარჩნას.

საზოგადოებრივ ცხოვრებში მომხდარმა ცვლილებებმა წარმოშვა ახალი პოლიტიკური შეხედულებები. მოაზროვნეთა უმრავლესობა ფიქრობდა გამოსავლის მონახვაზე, რაც ბედნიერებას მოუტანდა ადამიანებს. ისინი სახავდნენ საზოგადოების მოწყობის იდეალურ პროექტებს. მათ გულწრფელად სურდათ ხალხის კეთილდღეობა, თუმცა მათი იდეები განუხორციელებელი და რეალობას მოკლებული იყო.

ასეთ მოაზროვნებს მიეკუთვნებიან უტოპიური სოციალიზმის ფუძემდებელი ინგლისელი თომას მორი (1478-1535) და იტალიელი ტომაზო კამპანელა (1568-1639).

თომას მორი ცხოვრობდა ჰენრიხ მერვის დროს. მას ლორდ – კანცლერის თანამდებობა ეკავა. 1516 წელს გამოქვეყნდა მორის ნაწარმოები „უტოპია”, სადაც აღწერილია საზოგადოებრივი წყობილება და ის საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელიც კაცობრიობისათვის უცნობ კუნძულ უტოპიაზე ხდება.

ნაწარმოებს დიალოგის ფორმა აქვს. ამ ნაწარმოებებში ავტორის გარდა მონაწილეობას იღებს მისი მეგობარი პეტრე ეგიდიუსი და აგრეთვე ვიღაც რაფაელ პიტლოდეი. ეს უკანასკნელი ამერიგო ვესტურის ექსპედიციის წევრი ყოფილა, მაგრამ ექსპედიციას ჩამორჩენილა და დიდი ზნის ხეტიალის შემდეგ სრულიად უცნობ კუნძულ უტოპიაზე მოხვედრილა. იგი უტოპიელთა ცხოვრებას მოუთხოობს თავის თანამოსაუბრებებს. ნა-

წარმოების შესავალში აღწერილია ინგლისის მძიმე ეკონომიკური მდგრა-  
მარეობა. მორი აკრიტიკებს კანონმდებლობის სიმკაცრეს და აგრეთვე იმგ-  
ვარ განაჩენებს, რომლებიც მეფის სახელით ინგლისის სასამართლოებს  
გამოჰქონდათ.

თომას მორი მიუთითებს, რომ საზოგადოებრიობა თვითონ არის დამ-  
ნაშავე ამ პირობების შექმნაში, რაც ადამიანს დანაშაულის ჩადენისაკენ  
უბიძგებს. ამ სულიერ უბედურებათა საფუძვლად მორი მიიჩნევს კერძო  
საკუთრებას. მისი აზრით, კერძო საკუთრება უნდა გაუქმდეს. ინგლისის  
სახელმწიფოს საპირისპიროდ თომას მორი აღწერს იდეალურ საზოგა-  
დოებას, რომელიც არსებობს კუნძულ უტოპიაზე. იგი აღნიშნავს, რომ  
უტოპის ყველა მცხოვრები მისდევს ხელოსნობასა და მიწათმოქმედებას.  
ყოველ ორ წელიწალში ერთხელ შრომისუნარიანი ოჯახის წევრები ქა-  
ლაქიდან სოფლად იგზავნება. ქალაქში ისინი ეუფლებიან ხელოსნობას.  
~~მაგრამ~~ სოფლად გაგზავნის მიზანია დაუუფლონ მიწათმოქმედებას და მო-  
იყვანონ მოსავალი. საზოგადოების ყველა წევრს უტოპიაში მტკიცებ აქვს  
მიჩენილი საცხოვრებელი ადგილი. ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლა  
თვითნებურად არ შეიძლება. შრომა ყველასათვის სავალდებულოა. ფი-  
ზიკური შრომიდან განთავისუფლებულები არიან მხოლოდ მეცნიერები  
და ადმინისტრატორები. მძიმე ფიზიკურ სამუშაოს ასრულებენ მონები.  
მონებად ითვლებიან სასამართლოს მიერ გასამართლებული დამნაშავეები  
და სამხედრო ტკიცები. პროდუქტები იგზავნება დიდ საწყობებში, საიდანაც  
ოჯახის უფროსი ღებულობს მისთვის საჭირო სურსათს ოჯახის გამოსაკ-  
ვებად. ყოველი უტოპიელის სახლი, კარმიდამო და ნაკვეთი სახელმწი-  
ფოს საკუთრებაა. მისი გადანაწილება ხდება ფარული კენჭისყრით ყო-  
ველ ათ წელიწალში ერთხელ. ამ გადანაწილებას ის მნიშვნელობა აქვს,  
რომ ყველა თვალის ჩინივით გაუფრთხილდეს თავის ქონებას, და ამავე  
დროს, სრულყოს იგი. რაც შეეხება ოქროსა და ძვირფას ლითონებს, უტო-  
პიელები მათ პატივს არ სცემენ. ისინი ამ ლითონებისაგან ამზადებენ მხო-  
ლოდ საბავშვო სათამაშოებს. კუნძულზე მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრება  
ძალშე მარტივია. ოჯახები პატრიარქალურია, რომლის სათავეში დგას  
უხუცესი. უტოპიელთა კანონების მიხედვით ოჯახი მყარი უნდა იყოს,  
განქორწინება არ ხდება, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში განქორწინებას  
სასამართლო წყვეტს. ვისი მის წითაც მოხდა განქორწინება მას ეკრძა-  
ლება მეორე ქორწინება.

უტოპიაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლება მოწყობილია დემოკრატიულ საწყისებზე. ყველა თანამდებობა არჩევითია გარკვეული ვადით, გარდა მონარქისა, რომელსაც, მართალია, ირჩევენ მაგრამ უვადოდ. გარდა ამისა, უტოპიაში კანონები ცოტაა, ხოლო კანონმდებლად ითვლება თითქმის ყველა მოქალაქე. ოომას მორი ქადაგებს რჯულშემწყნარებლობას. უტოპიაში ყველა მოქალაქეს შეუძლია იყოს ამა თუ იმ სარწმუნოების მიმდევარი. მაგრამ ათებზე ანუ უღმერთობა დაუშვებელია.

ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ ოომას მორის მიერ ჩამოყალიბებული იდეები განუხორციელებელია. აქედან, კერძოდ, თ.მორის „უტოპიდან“ წარმოსდგა სიტყვა უტოპია, რაც შეუძლებელს, განუხორციელებს ნიშნავს.

ასეთივე პროგრამით გამოვიდა იტალიაში ტომაზო კამპანელა, რომელმაც ლიტერატურული მოღვაწეობა ოცი წლის ასაკში დაიწყო. იგი, ამასთანავე, პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილეც იყო. 1599 წელს მან მოაწყო შეთქმულება იტალიაში, რომელიც ესპანელთა ბატონობის წინააღმდეგ იყო მიმართული. შეთქმულება აღმოჩენილ იქნა. კამპანელა დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს, სადაც მან 27 წელი დაყო.

კამპანელას უმთავრეს ნაწარმოებს წარმოადგენს „მზის ქალაქი“, რომელშიაც კამპანელა თავის უტოპიურ შეხედულებებსა და იდეებს ავითარებს. ნაწარმოებში გადმოცემულია ერთ-ერთი მოგზაურის ნაამბობი, რომელიც აღწერს საზოგადოებრივ წყობილებას, რომელიც თითქოს არსებობს ერთ-ერთ ქალაქში, კუნძულ ტაპრობანაზე, ეს კუნძული ცნობილია მზის ქალაქის სახელწოდებით. მზის ქალაქში არ არსებობს კერძო საკუთრება და შრომა სავალდებულოა ყველასათვის. მოსახლეობა პროფესიას არჩევს იმისდა მიხედვით, რისი უნარი და მიღრეკილებაც გააჩნია. მაგრამ მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და სამხედრო საქმე ყველასათვის სავალდებულოა. შედარებით მძიმე სამუშაოები, როგორიცაა მაგ., მჭედლობა, საპატიო საქმედ ითვლება. ოომას მორისაგან განსხვავებით კამპანელა მონობის წინააღმდეგია. კამპანელას მიერ მოცემულ სახელმწიფოში არავითარი საკუთრება არ არსებობს, ამიტომ ადამიანები კი არ ემსახურებიან ნივთებს, არამედ ნივთები ემსახურებიან ადამიანებს.

კამპანელას იდეალურ სახელმწიფოში თვეში ორჯერ ხდება ე.წ. დიდი საბჭოს სხდომა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს 20 წელს მიღწეული ყველა მოქალაქე. ამ სხდომაზე ხდება მაღალ თანამდებობებზე

კანდიდატთა შერჩევა და თანამდებობის პირთა შეცვლა.

კამპანელას იდეალურ სახელმწიფოს სათავეში დგას ერთმართველი სასულიერო პირი, რომელიც იწოდება „მზედ“. სახელმწიფოს მართვის საქმეში მას ეხმარება სამი თანაშემწე - პონი, სინი და მორი, რაც ნომისავს ძალას, სიბრძნესა და სიყვარულს. ძალა ზელმძღვანელობს ომისა და მშვიდობის საქმეს, სიბრძნეს უვალება უხელმძღვანელოს მეცნიერებასა და ხელოვნებას, სიყვარულს კი - გამრავლებას, აღზრდას, მედიცინას, მიწათმოქმედებას და ერთი სიტყვით ყველაფერს, რაც გარკვეულად ყოფა-ცხოვრებასთანაა დაკავშირებული.

სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხში კამპანელა თეოკრატიულ პრინციპებს ქადაგებს. ამასთან ერთად, კამპანელა პლატონის იდეების გარკვეულ გავლენას განიცდის.

კამპანელა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამხედრო საქმეს. სამხედრო საქმე, კამპანელას აზრით, ყველას ვალდებულებაა, როგორც მამაკაცებისათვის, ისე ქალებისათვის. არმიის დანიშნულება სამშობლოს დაცვაა.

კამპანელა მტრულადა განწყობილი რთული და აბნეული კანონმდებლობისადმი, ამიტომ იგი აცხადებს, რომ მზის ქალაქში კანონები ძალიან ცოტა, მოკლე და მარტივია. სამართალწარმოებაც გამარტივებულია, იგი სიტყვიერი და საჯაროა.

კამპანელა ვერ გა~~ა~~მთავისუფლდა შუასაუკუნეობრივი ჩამორჩენილობისაგან. ამის დამადასტურებელია ის, რომ კამპანელა ერთმანეთში ურევს სამართალსა და მორალს, დანძაულსა და ცოდვას, ამასთან, მოითხოვს, რომ მართლმსაჯულებას სასულიერო პირები ახორციელებდნენ.

მზის ქალაქში სჯინ სულმოკლეობის, სიხარბისა და სიამაყისათვის. სასჯელის მიზანს დამნაშავის გამოსწორება წარმოადგენს, ამიტომ დანაშაულის ჩამდენს სასჯელის შეფარდებამდე არწმუნებენ და მოუწოდებენ, რომ ამ უკანასკნელმა გამოთქვას თანხმობა დასჯაზე. განზრახი დანაშაულისათვის მზის ქალაქში ტალიონის პრინციპი გამოიყენება. ამის გარდა, მზის ქალაქში მეტად მკაცრი სასჯელებია. უმეტესწილად სიკვდილით დასჯა გამოიყენება. ასევე გამოიყენება ასოთდაზიანების სასჯელები, გაძვება, საზოგადოებიდან გარიყვა, მზის ქალაქში ციხეები არ არის.

კამპანელას სოციალისტური იდეები XVII საუკუნის ევროპის ცხოვრების პირობებში განუხორციელებელი იყო. მიუხედავად ამისა, კამპანელას შრომებმა დიდი გავლენა იქონიეს უტოპიური სოციალიზმის იდეების შემდგომ განვითარებაზე.

XVIII საუკუნეების ბუნებითი სამართლის წარმომადგენლები ამ იდეებს ათავისუფლებნდენ ყოველგვარი რელიგიური წარმოდგენებისაგან.

ბუნებითი სამართლის თეორიით ბურჟუაზიამ იერიში მიიტანა შუასა-უკუნეობრივ შეხედულებებზე - თითქოს სამეფო ხელისუფლება და თეორიური წარმომობისა იყოს. გარდა ამისა, ბურჟუაზიამ ამ თეორიით უვარგისად გამოაცხადა ფეოდალიზმის პერიოდის ყველა დაწესებულება და მოითხოვა მათი დანგრევა.

### §1. პუგო გროციუსის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე

პუგო გროციუსი (1583-1645) პირველი მოაზროვნე იყო, რომელმაც სცადა ბუნებითი სამართლის იდეების სისტემურად ჩამოყალიბება და გადმოცემა.

გროციუსის შეხედულებების ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ნიდერლანდების ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, რომელიც წარმოებდა ამ პერიოდში ესპანეთის ბატონობის წინააღმდეგ ნიდერლანდელი ხალხის გასახათავისუფლებლად.

1609 წ. გროციუსმა „დაწერა შრომა „თავისუფალი ზღვა“, რომელშიაც პოლანდიელთა თავისუფლად ნაოსნობის სამართლიანობას ასაბუთებდა. იგი მიმართული იყო ესპანელების წინააღმდეგ, რომლებიც ასაბუთებდნენ, რომ ესპანეთს ზღვაში განუყოფელი ნაოსნობის უფლება თვით რომის პაპმა მისცა. გროციუსმა გაიღმარტა ინგლისის წინააღმდეგაც, რომელიც ასევე ზღვაზე განუყოფელი ნაოსნობის უფლებას იჩემებდა. მალე პუგო გროციუსი რელიგიურ-პოლიტიკური ხასიათის დაცემი მონაწილეობისათვის სამუდამოდ დააპატიმრეს, მაგრამ იგი ციხიდან გაიქცა.

1625 წელს გროციუსმა პარიზში დაწერა ცნობილი შრომა „ომისა და მშვიდობის უფლების შესახებ“. აღნიშნული შრომა გროციუსმა მიუძღვნა საერთაშორისო სამართლის საკითხებს, თუმცა ამ შრომაში მას უნდა გადაეწყვიტა საკითხი ზოგადად სამართლის შესახებ და საერთაშორისო ურთიერთობის სუბიექტის, ე.ი. სახელმწიფოს შესახებ. ფეოდალური წარმოდგენების საწინააღმდეგოდ გროციუსი მიუთითებს, რომ სამართალი ღმერი ს ნებიდან კი არ გამ მდინარეობს, არამედ ადამიანის ბუნებიდ ან. ადამიანს აქვს მიღრეკილება საზოგადოებისაკენ, ადამიანებისაკენ და,

გროციუსის აზრით, სწორედ ადამიანის ეს მიღრეკილებაა სამართლის წყარო. ამრიგად, გროციუსი იმ დასკვნამდე მიდის, რომ სამართალი დაფუძნებულია თვით ადამიანის ბუნებში და არსებობს, მიუხედავად ადამიანთა მიერ დადგენილი კანონებისა.

გროციუსის მიხედვით, ადამიანის საზოგადოებისაკენ სწრაფვა, რაც მის ბუნებაშია ჩადებული, გამომდინარეობს რიგი მოთხოვნებიდან, ესენია: სხვისი ქონებისაგან თავის შეკავება, მიღებული სხვისი ნივთის უკან დაბრუნება, პირობის შესრულება, ზარალის ანაზღაურება, თუ ის ჩვენი ბრალითაა მიყენებული, ასევე ადამიანებისადმი შესაბამისი სასჯელის მიზღვა. ყოველივე ამას გროციუსი ბუნებითი სამართლის ნორმებად მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ გროციუსი სამართლის პირველწყაროდ თვლიდა ადამიანის ბუნებას, იგი არ უარყოფდა ღმერთის არსებობას და ბუნებითი სამართლის გვერდით ღვთიური სამართალსაც უშვებდა. გარდა ბუნებითი სამართლისა და ღვთიური სამართლისა, გროციუსი ცნობს ასევე ადამიანურ სამართალსაც. ამ უკანასკნელს გროციუსი ორ ნაწილად ჰყოფს: ქვეყნის შიგნით მოქმედი სამართალი და ხალხებს შორის ურთიერთობის მარეგულირებელი სამართალი. გროციუსის აზრით, ღვთიური სამართალი და ადამიანთა სამართალი ცვალებადია, ხოლო ბუნებითი სამართალი უცვლელია. ბუნებითი სამართლის შეცვლა არ შეუძლია თვით ღმერთსაც კი.

ამრიგად, ჰუგო გროციუსმა, მართალია, გაიმეორა ანტიკურ და შუასაუკუნეობრივ მოაზროვნეთა შეზედულებანი ბუნებით სამართალზე, მაგრამ მთელი რიგი განმასხვავებელი ნიშნებით. კერძოდ, ჰუგო გროციუსი სტოელებისა და რომაელი იურისტებისაგან განსხვავებით ასაბუთებს, რომ ბუნებითი სამართალი ადამიანის გონიერი ბუნებიდან გამომდინარეობს. გროციუსის ნაზრევი შუა საუკუნეების მოაზროვნეებისაგან იმით განსხვავდება, რომ მან გაანთავისუფლა იურიდიული მეცნიერება ღმერთის მეურვეობისაგან. გროციუსის მოძღვრებაში შეინიშნება იურიდიული მსოფლმნედველობის ჩასახვის ნიშნები.

ახლა გავარკვიოთ გროციუსის მოსაზრებანი სახელმწიფოზე.

ჰუგო გროციუსის აზრით, სახელმწიფო არის ორგანიზაცია „საერთო სარგებლიანობის“ მოსატანად. იგი ასე განმარტავს სახელმწიფოს: „სახელმწიფო არის თავისუფალ ადამიანთა კავშირი საერთო სარგებლობისა და უფლებების დასაცავად“. ამრიგად, გროციუსის მიხედვით, სახელმ-

წიფო ადამიანთა შეგნებული მოღვაწეობის შედეგია, რომელიც შეიქმნა ხელშეკრულების დაღებით. ეს შეხედულება სახელმწიფოს ხელშეკრულებით წარმოშობაზე ტიპურია ბუნებითი სამართლის სკოლისათვის.

გროციუსი ასაბუთებს, რომ სუვერენიტეტის მატარებელია არა ხალხი, არამედ ხელმწიფე. ხელმწიფის ხელისუფლების უპირატესობის აღიარებით გროციუსი გამოხატავს შუასაუკუნეობრივი იურისპრუდენციის იღებების ნაშთების არსებობას.

ყურადღებას იპყრობს გროციუსის თვალსაზრისით კერძო საკუთრების წარმოშობის საკითხზე. მისი აზრით, კერძო საკუთრება წარმოშვა ადამიანთა შეთანხმების შედეგად, ერთი მხრივ, აშკარად შეთანხმებისა და ქონების გაყოფის გზით, მეორე მხრივ, უსიტყვოდ, ე.ი. საკუთარი ნებით ქონებისა თუ მამულების დაუფლების გზით. ამდენად, საკუთრების უფლება, რადგან ადამიანის ნებიდან გამომდინარეობს, - ადამიანის ნების გარეშე სხვისი საკუთრების დაუფლება, - არამართლზომიერია. საკუთრების უფლებას გროციუსი განმარტავს, როგორც ნივთის განკარგვის ან გასხვისების შესაძლებლობას.

ჰუგო გროციუსს საერთაშორისო სამართლის დამაარსებლად თვლიდნენ, მაგრამ ეს თვალსაზრისი სწორი არ უნდა იყოს, რადგან მას ჰყავდა წინამორბედი, იტალიელი იურისტი ჯენტილეს სახით.

ჰუგო გროციუსს საყურადღებო მოსაზრებები გააჩნია საერთაშორისო სამართლის საკითხებზე, ასევე, იგი მოითხოვდა საომარი მოქმედების ჰუმანური წესების შემოღებას, კერძოდ, ადამიანურად მოპყრობოდნენ სამხედრო ტყვეებს, შეებრალებინათ ბავშვები და ქალები. გროციუსი უარყოფს მოსაზრებას, რომ თითქოს საერთაშორისო ურთიერთობაში ძალა განსაზღვრავს ყველაფერს. მისი აზრით, საერთაშორისო ურთიერთობებს საფუძვლად უნდა ედოს სამართალი და სამართლიანობა, ესაა საერთო სახალხო სამართალი, რომლის წყაროა ადამიანთა ბუნება და მათი შეთანხმება. გროციუსი თვლიდა, რომ საერთაშორისო სამართალი ბუნებითი და დადებითი სამართლის ნაწილია.

მიუხედავად იმისა, რომ ჰუგო გროციუსის მოძღვრებაში ბუნებითი სამართლის თეორიამ სრულყოფილი სახე ვერ პოვა, მისმა იღებებმა დიდი გავლენა იქონიეს არა მარტო ბუნებითი სამართლის შემდგომ განვითარებაზე, არამედ იურიდიული მეცნიერებისა და, კერძოდ, საერთაშორისო სამართლის განვითარებაზე.

## §2. საინოზას პოლიტიკური შეხედულებანი

ბუნებითი სამართლის მეორე წარმომადგენელია პოლანდიელი ფილოსოფოსი ბენედექტ სპინოზა (1632-1677). მისი მთავარი ნაწარმოებია „ეთიკა, დამტკიცებულია გეომეტრიული მეთოდით”, რომელზედაც ავტორი 12 წელი მუშაობდა. თავისი პოლიტიკური შეხედულებანი სპინოზამ ჩამოაყალიბა შემდეგ თხზულებაში” 1) „საღვთისმეტყველო-პოლიტიკური ტრაქტატი”, 2) „პოლიტიკური ტრაქტატი”.

სპინოზას პოლიტიკური შეხედულებების გასარკვევად საჭიროა გავარკვიოთ მისი ფილოსოფიური კრედო. სპინოზა მეტაფიზიკური - მექანისტური მეტარიალიზმის წარმომადგენელია. მისი აზრით, ბუნება ღმერთისაგან არ არის შექმნილი, არამედ ღმერთი და ბუნება ერთი და იგივეა. სპინოზა სამყაროს განიხილავს, როგორც უცვლელს. მის მოძღვრებაში განვითარების იდეას ვერ ვპოულობთ. სპინოზას ფილოსოფიის დამახასიათებელი ნიშანია მეტად მყაცრი დეტერმინიზმი. ბუნებაში, მისი აზრით, ყველაფერი ხდება ისე, როგორც აუცილებელია. შემთხვევითობას ადგილი არა აქვს. რაც შეეხება სიკეთეს, ბოროტებას, სილამაზეს, სრულყოფილებას და სხვ. ისინი ადამიანთა წარმოდგენებითა და შეფასებებითაა განსაზღვრული და მოკლებული არიან მეცნიერულ მნიშვნელობას.

სახელმწიფოს წარმოშობას საპინოზა ბუნებრივი აუცილებლობით ხსნის. იგი აღნიშნავს, რომ ადამიანი მაშინ არის კარგად, როდესაც მასზე ბატონობს გონება, ხოლო ადამიანის გონება კი კარნახობს ადამიანს სხვა ადამიანებთან ერთად იცხოვოს, რადგან მარტოდმარტო იგი ვერ შესძლებს იმის მოპოვებას, რაც ცხოვრებისთვისაა საჭირო. გარდა ამისა, საზოგადოების გარეშე ადამიანი ვერ უზრუნველყოფს თავისი თავის უშიშროებას, ვერ ჯინახორციელებს მისთვის მინიჭებულ ბუნებით უფლებებს.

სწორედ ის გამო ადამიანები ბუნებითი მდგომარეობიდან გადადიან სამოქალაქო მდგომარეობაზე. სპინოზა სახელმწიფოს ხსნის, როგორც ორგანიზაციას, რომელიც მოწოდებულია დაიცვას საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები.

ამრიგად, სპინოზა სახელმწიფოს წარმოშობას იდეალისტურად ხსნის. კერძოდ, სახელმწიფოს წარმოშობის მთავარ მიზნებად ადამიანთა ბუნებრივ მიღრეკილებებსა და ვნებებს თვლის. სპინოზა სამართლის წარმოშობასაც

იდეალისტურად ხსნის. მისი აზრით, სახელმწიფოს წარმოშობის შედეგად ისახება „საერთო სამართალი”, რომელიც თითოეული ინდივიდის ბუნებითი უფლების საერთო ჯამია და რომელიც ხელისუფლებას უდრის. სპინოზა, ბუნებითი სამართლის თეორიის სხვა წარმომადგენლების მსგავსად ვერ ხედავს განსხვავებას საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის.

სპინოზა, ჰუგო გროციუსისაგან განსხვავებით, ბუნებით კანონს აიგივებს ობიექტურ კანონებთან, იგი ამტკიცებს, რომ ბუნებითი სამართალი არ წყდება, არამედ არსებობას განაგრძობს სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგაც, ხოლო ადამიანთა ბუნებრივი მდგომარეობა მთლიანად არ ისპობა, არამედ გარდაიქმნება სახელმწიფოში.

სპინოზა სუამს საკითხს სახელმწიფო ხელისუფლების ფარგლებზე, ე.ი. მას სურს გაარკვიოს, რომელ ბუნებით უფლებებს ვერ შეეხება სახელმწიფო. სპინოზას აზრით, სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს და არ უნდა ხელყოს ადამიანის აზრი და რელიგიური თავისუფლება, სხვა ადგილას სპინოზა მოითხოვს, რომ რელიგიურ თავისუფლებას თავისი საზღვრები ჰქონდეს. გარდა ამისა, იგი აკრიტიკებს საეკლესიო კულტის მსახურო, რომლებიც ახშობენ აზრის თავისუფლებას, ამცირებენ ადამიანის გონებას. სპინოზა მოითხოვდა განათლების შემოღებას, რომელიც მეცნიერების განვითარებისათვის მოამზადებდა ნიადაგს.

გარკვეული მოსაზრებები გააჩნია სპინოზას სახელმწიფო ფორმების საკითხზეც. სპინოზას საუკეთესო სახელმწიფო წყობილების ფორმად მიაჩნია ისეთი წყობა, სადაც უზრუნველყოფილია მშვიდობა, უშიშროება და ადამიანთა თავისუფლება. სპინოზა გადაჭრით უარყოფს შეუზღუდველ მონარქიას. მისი აზრით, ხელმწიფის ხელისუფლება უნდა შეიჩღუდოს წარმომადგენლობითი დაწესებულებებითა და სასამართლო კოლეგიებით. მისი სიმპათიები დემოკრატიის მხარეზეა, თუმცა იგი შეზღუდულ დემოკრატიას ემხრობა.

სპინოზას პოლიტიკურ იდეათა პროგრესულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მან გაიღმიქრა შეუზღუდველი მონარქიის წინააღმდეგ და დამაკერებლობით იცავდა აზრისა და სინდისის თავისუფლებას.

ଓଡ଼ିଆ ମନ୍ଦିର

## ଶତରାଜ

ଲାତିନ୍‌ଭାଷାରେ ପରିଚୟ, ଶ୍ରୀକୃତୀ ପାତ୍ର, ଶ୍ରୀକୃତୀ ପାତ୍ର  
ସାହିତ୍ୟରେ ପରିଚୟ ଓ ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ଗୋପନୀୟତା



ଓଡ଼ିଶା ସାହିତ୍ୟ ଏକାଡେମୀ ପ୍ରକାଶନ ବିଭାଗ  
ପ୍ରକାଶନ ବିଭାଗ 1983

ატარებს კუნძული, აღრე რომ აბრაქსა<sup>77</sup> ერქვა, გამარჯვებისთანავე ბრძანა გაეთხარათ თხუთმეტი მილი იქ, სადაც ეს ქვეყანა კონტინენტს უერთდებოდა, და ხმელეთს გარშემო ზღვა შემოარტყა. ამავე უტობუსმა თავისი მოუქნელი და ველური ბრძო განსწავლისა და განათლების ისეთ დონეზე აიყვანა, რომ ახლა იგი ამ მხრივ თითქმის ყველა სხვა მოკვდავთ აღემატება. ეს სამუშაო რომ ვინმეს სამარცხვინოდ არ მიეჩნია, უტობუსმა თავისი ჯარისკაცებიც ჩართო შრომაში. ერთდროულად შრომა მრავალ აღამიანზე რომ განაწილდა, იგი არნახული სისწრაფით დასრულდა. უტოპიელთა წარმატებამ განაცვითდა და თანაც შეაძრწუნა მეზობლები, რომლებიც თავიდან დასცინოდნენ ამ ვითომუსარებლო წამოწყებას.

კუნძულზე ორმოცდათოთხმეტი ქალაქია<sup>78</sup>, ყველა ვრცელი და დიდებული; ენა, ზენ-ჩვეულებები, დაწესებულებები და კანონები მათ სავსებით ერთნაირი აქვთ. მათი მდებარეობაც ასევე ერთნაირია და ერთნაირადვე გამოიყურება, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა აღგილმდებარეობა. ქალაქები ერთმანეთისაგან ოცდაოთხი მილითაა დაშორებული. ამავე დროს არცერთი ქალაქი არ არის ისე მოწყვეტილი, რომ მეორე ქალაქამდე ფეხით ერთ დღეში არ შეიძლებოდეს მისვლა.

 ყოველი ქალაქიდან ყოველწლიურად სამი მოხუცი და გამოცდილი მოქალაქე ამაუროტში<sup>79</sup> იკრიბება კუნძულის საერთო საქმეთა განსახილველად. ამ ქალაქს უპირატესობა ენიჭება, ვინაიდან იგი ქვეყნის შუაგულში მდებარეობს და ამდენად მისახერხებელია ყოველი მხრიდან მივლინებულთათვის მისადგომად. ქალაქებს შორის მინდვრები იმდენად მარჯვედაა განაწილებული, რომ თითოეულს ცალ-ცალკე ყოველი მხრიდან არანაკლებ ოცი მილი მიწა აკრავს, ხოლო ერთი მხრიდან გაცილებით მეტიც კია, და ეს სწორედ იმ მხრიდან, საიდანაც ქალაქები უფრო მეტად არიან დაშორებული ერთმანეთს. არც ერთ ქალაქს არა აქვს თავისი საზღვრების გავრცელის სურვილი, ვინაიდან მისი შევიდრნი საკუთარ თავს მიწათმოქმედებად უფრო მიიჩნევენ, ვიღრე ამ სამფლობელოს ბატონ-პატრონებად. სოფლებში ყველგან მოხერხებულად არის განლაგებული სახლები, სადაც სოფლის მეურნეობისათვის საჭირო იარაღები ინახება. იქვეა დასახლებული მაცხოვრებლები, რომლებსაც მორიგეობით უწევთ იქ ცხოვრება. არც ერთი სოფლის ოჯახის შემადგენლობა არ არის ორმოც კაცზე ნაკლები, მათ რიცხვში შედის აგრეთვე ორი მიწერილი მონა. ოჯახის სათავეში დგანან ოჯახის მამა და დედა, პატივცემული და ხანდაზმული აღამიანები,

ხოლო ყოველი ოცდაათი ოჯახის სათავეში — ერთი ფილარქოსი<sup>80</sup> თითოეული ოჯახიდან ოც-ოცი კაცი ყოველწლიურად ბრუნდება საცხოვრებლად ქალაქში. ეს ისინი არიან, ვინც სოფელში ორი წელი გაატარეს. მათ აღვილს იჭერენ ქალაქიდან ჩამოსულები, რათა ხელ-მძღვანელობა გაუწიონ იმათ, ვინც სოფელში ერთი წელი იცხოვრეს და ამიტომ უფრო მეტი გამოცდილება აქვთ სოფლის მეურნეობის საქმეებში. ამ ჩამოსულებმა შემდეგ წელს უნდა ასწავლონ სხვებს, რათა მოსავლის მოწევაში რაიმე შეცდომა არ მოხდეს, რაკი ყველა ერთნაირად ახალბედა და გამოუცდელი იქნება. თუმცა მიწათმოქმედთა გადახალისების ეს ხერხი საყოველთაოდ მიღებულია, რათა არავის არ მოუხდეს ნება-სურვილის გარეშე მეტად ხანგრძლივად ცხოვრება სოფლიდ, მყაცრ პირობებში, მაინც ისე ხდება, რომ ისინი, ვისაც ბუ-ნებრივი მიღრეკილება აქვს სოფელში ცხოვრებისაღმი, თავის მხრივ, იქ დარჩენას უფრო მეტ ხანს ითხოვს. მიწათმოქმედნი ამუშავებენ მიწას, კვებავენ პირუტყვს, იმარაგებენ შეშას და ჩააქვთ ქალაქში როგორც მოხერხებათ — ხმელეთით ან ზღვით. ისინი განუსაზღვრელი რაოდენობით, საოცრად უნარიანად ზრდიან წიწილებს. გამოსაჩეკად<sup>81</sup> კვერცხებს ქათმებს კი არ უწყობენ, არამედ ათასობით ცალს ერთად ათბობენ თანაბარი სითბოთი და ისე გამოჩეენ. როგორც კი წიწილები გამოიჩეებიან ნაჭუჭიდან, ისინი უკვე უკან დასდევენ ადამიანებს, როგორც დედას, და, წარმოიდგინეთ, სცნობენ კიდეც მათ.

უტოპიელებს ძალიან ცოტა ცხენი ჰყავთ, თანაც მხოლოდ ფიცხი და ისიც მხოლოდ ჯირითში ახალგაზრდობის გასაწრთვნელად<sup>82</sup>. მთელი სამიწათმოქმედო და ტვირთსაზიდი შრომა ხარებს ეკისრებათ. უტოპიელებს მიაჩინათ, რომ ხარები სირბილში, მართალია, ჩამოუვარდებიან ცხენებს, მაგრამ გამძლეობით სჯობნიან მათ. გარდა ამისა, ხარებს ნაკლებად ემართებათ ავადყოფობა, უფრო აღვილი შესანახი არიან და, როცა სამუშაოდ აღარ ივარგებენ, შეიძლება მათი საკვებად გამოყენება.

მარცვლეულიდან უტოპიელები მხოლოდ პურს ამზადებენ, ხოლო ღვინოს ყურძნისას ან მსხლისას მიირთმევენ, ბოლოსდაბოლოს, ხანდახან მხოლოდ სუფთა წყალს, ხშირად კი თაფლის ან ალაოს ფესვის ნაყენს სვამენ. თუმცა მათ კარგად იციან (და თანაც მეტად ზუსტადაც), თუ რამდენი პური სჭირდება ქალაქს და მის მიმდებარეოლქს, მაინც უფრო მეტი ნათესები აქვთ და საქონელსაც მეტს ზრდიან, რადგან ვარაუდობენ, რომ ზოგს მეზობლებს შესთავაზებენ. ყვე-

ლაფერს, რაც მათ ესაჭიროებათ და რაც სოფლად არ არის, ისინი ქალაქიდან ღებულობენ, თანაც ძალიან ადვილად, ყოველგვარი სამაგი-ერო გაცვლის გარეშე. ქალაქში ისინი ყოველთვიურად თავს იყრიან დღესასწაულებზე. როდესაც მოსაელის აღების დღე დგება, მიწომოქ-მედთა ფილარქოსები შეატყობინებენ ქალაქის ხელისუფალთ, თუ რამ-დენი მოქალაქის გამოზავნაა საჭირო და რადგან მუშაკთა ეს ლაშქა-რი დროშე და ზუსტად ვადაზე ცხადდება, ისინი თითქმის ერთ მზიან დღეში ამთავრებენ მოსაელის აღებას.

### ქალაქებისა და უპირატესად ამაუროტისათვის

ის, ვინც გაეცნობა უტოპიის ერთ ქალაქს, უნდა ჩათვალოს, რომ დანარჩენებსაც გაეცნო, იმდენად ჰგვანან ისინი ერთმანეთს (ამას ხელს არ უშლის სხვადასხვა ადგილმდებარება) და რადგან ასეა, მეც აღვ-წერ ერთ რომელსამე მათგანს (დიდი მნიშვნელობა არც აქვს სახელ-დობრ რომელს). მაგრამ, აბა სხვა რომელია ამაუროტზე უკეთესი? არც ერთი ქალაქი არაა მასზე ღირსეული, სხვები მას კიდეც ჩამოუ-ვარდებიან, როგორც სენატის ადგილსამყოფელს; ამასთან არც ერთ ქალაქს არ ვიცნობ მასზე უკეთ, რადგან იქ ზედიზედ ხუთი წელი გა-ვატარე.

ამაუროტი მთის დამრეც ფერდობზეა გაშენებული და თითქმის კვალრატის ფორმა აქვს. დაწყებული ბორცვის მწვერვალიდან ცოტა ქვემოთ, იგი სიგანეზე გადაჭიმულია ორ მილზე, მდინარე ანიღრუსამ-დე, მისი ნაპირების გასწვრივ კი ქალაქის სიგრძე ცოტა უფრო მეტია. ანიღრუსი სათავეს იღებს ამაუროტიდან ოთხმოციოდე მილის ზევით, პატარა წყაროდან, რომელიც თანდათან იზრდება სხვა მდინარეთა შე-ნაკადებით (მათგან ორი საშუალო სიღილისაა). შემდეგ ანიღრუსი ზედ ქალაქის მისადგომებთან ნახევარ მილამდე ფართოვდება, კიდევ უფრო იზრდება და სამოც მილს რომ გაივლის, ოქეანეს უერთდება. მთელ ამ სიგრძეზე ქალაქისა და ზღვას შორის და ქალაქის ზემოთ რამ-დენიმე მილზე ყოველ ექვს საათში ერთმანეთს ენაცვლება ზღვის მოქცევა და უკუქცევა. მოქცევის დროს ზღვა უკუაგდებს მდინარეს და ანიღრუსის მთელ კალაპოტს ოცდაათი მილის მანძილზე თავისი ტალ-ლებით ავსებს. აქ და ცოტა უფრო შორსაც იგი მლაშე წყლით ამღ-რებს მდინარის ნაკადს; უკუქცევისას ისევ მტკნარი წყალი იმარჩვებს და ქალაქში უკვე სუფთად მიედინება თითქმის ზედა შესართავამდე.

არამედ იმიტომაც, რომ ქუჩები ერთმანეთს ეჯიბრებიან საკუთარი ბალების მოვლაში. ყოველ შემთხვევაში ქალაქები უფრო საჭიროსა და თან ლამაზს ვერაფერს ნახავთ. ეტყობა, ქალაქის დამაარსებელი არა-ფერზე ისე არ ზრუნავდა, როგორც ამ ბალებზე.

ამბობენ, ქალაქის მთელი ეს გეგმა თავიდანვე უტოპუსმა შეადგინაო, მაგრამ მოსაკაზმავი და სხვა მოსართავი საქმეები, რასაც, როგორც თვითონაც გრძნობდა, არ ეყოფოდა ერთი აღამიანის სიცოცხლე, მან თავის შთამომავლებს დაუტოვაო.. ამიტომ მათ მატიანეებში, რომლებსაც ისინი გულმოდგინედ ადგენენ და ფაქტიზად ინახავენ, დაწყებული კუნძულის დაპყრობილან 1760 წლის მანძილზე, ნაჟვამია, რომ წინათ აქ დაბალი სახლები იდგა და ქოხებსა და გომურებს წააგავდა, შენდებოდა განურჩევლად ყოველგვარი ხისაგან, კედლები თანხით იყო შელესილი, წვეტიანი სახურავები — თივით დაფარული. ახლა კი ყოველი სახლი თავისი ფორმით იპყრობს ყურადღებას, სამსართულიანია, კედლები ქვის ან აგურისაა, შიგნით კი ცარიელი ადგილები მსხვილი ღორღითაა ამოვსებული. ბრტყელი სახურავები დაფარულია რაღაც საცხით, რომელიც, მართალია, იაფასიანია, მაგრამ ისეთი შედგენილობისაა, რომ არ ეშინია ცეცხლისა, ხოლო ავდარში ტყიაზე უფრო გამძლეა. ფანჯრებს ქარისაგან იცავს მინა<sup>84</sup>, რომელიც აქ ბევრზე ბევრია, ზოგჯერ მას თხელი ცხიმით პოხავენ ან ქარვის<sup>85</sup> ფენით ფარავენ. ეს ორმხრივ სასარგებლოა, ჭერ ერთი, მეტ სინათლეს ატარებს და, მეორეც, ქარიც ვერ ატანს.

### თანამდებობის პირთათვის

ყოველი ოცდაათი ოჯახი თავის მხრივ ყოველწლიურად ირჩევს თანამდებობის პირს, რომელსაც აღრე სიფოგრანტუსი<sup>86</sup> ერქვა, ხოლო ახალ ენაზე ფილარქოსი ჰქვია. ყოველ ათ სიფოგრანტუსს თავის ოჯახებიანად მეთაურობს კაცი, რომელსაც ძეველებურად ტრანიბორუსი<sup>87</sup> ერქვა, ახლა კი პროტოფილარქოსად იწოდება.

ყველა სიფოგრანტუსი, სულ ორასი კაცი, ფიცის დაღების შემდეგ იმის თაობაზე, რომ აირჩევს ყველაზე ღირსეულს, ფარულ კენჭის-ყრით შეარჩევს თავადს (ბატონს), სახელდობრ, ერთ-ერთს იმ ოთხი პიროვნებისაგან, რომლებსაც მათ ხალხი შესთავაზებს. ქალაქის მოსახლეობის ყოველი მეოთხედი ირჩევს ერთ ტრანიბორუსს და შუამდგომლობას უწევს სენატში. თავადის თანამდებობა უცვლელია მთე-

ლი შისი ცხოვრების მანძილზე, თუკი რაიმე მიღრეკილებას არ გამოავ-  
 ლენს იგი ტირანისადმი. ტრანიბორუსები ყოველ სამ დღეში, ზოგ-  
 ჯერ, თუ გარემოება მოითხოვს, უფრო ხშირადაც, დადიან სათათბი-  
 როდ თავადთან. ისინი ბჭობენ საზოგადო საქმეებზე და მყისვე  
 შეწყვეტენ ხოლმე ყოველგვარ კერძო კამათს, თუკი ასეთი რამ წა-  
 მოიჭრება. სიფოგრანტუსებიდან სენატში ყოველთვის უნდა იყოს  
 ორი, თანაც ყოველდღე სხვადასხვა. არსებობს დადგენილება, რათა  
 იმ საქმეთაგან, რომელიც რესპუბლიკას ეხება, არც ერთი არ გადაიჭ-  
 რას მანამ, სანამ არ განიხილავს სენატი გადაწყვეტილების მიღებამდე  
 საში დღით ადრე. სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება საზო-  
 გადო საქმეებზე გადაწყვეტილების მიღება სენატის ან სახალხო კრე-  
 ბის გარეშე. ამბობენ, რომ ეს ღონისძიება შემოღებულია იმ მიზნით,  
 რომ არავინ გაბედოს სახელმწიფო წყობილების შეცვლა თავადისა  
 და ტრანიბორუსების შეთქმულებით ან ხალხის დამორჩილება ტირა-  
 ნიით. ამიტომ ყოველგვარი საქმე, რომელსაც რაიმე მნიშვნელობა  
 აქვს, სიფოგრანტუსთა კრებას მოხსენდება, ისინი თავის მხრივ აც-  
 ნობენ მას თავთავიანთი განყოფილებების ოჯახებს, შემდეგ ერთმა-  
 ნეთში ითათბირებენ და თავის გადაწყვეტილებას სენატს აცნობებენ<sup>88</sup>.  
 ზოგჯერ საქმე გადააქვთ მთელი კუნძულის კრებაზე. სენატს, გარდა  
 ამისა, აქვს ასეთი წესიც: არც ერთი წინადადება არ გაარჩიონ იმ დღეს,  
 როდესაც იგი პირველად შევა, და გადადონ სენატის მორიგ თათბირა-  
 მდე, რათა არავინ არ წამორჩოს, რაც ენაზე მოადგება. ასე რომ არ  
 იყოს, მაშინ კაცი იმაზე იფიქრებს, თუ როგორ დაიცვას თავისი პირ-  
 ველი გადაწყვეტილება და არა იმაზე, თუ რა უფრო აჩვებს სახელ-  
 მწიფოს. მანინჯი და ცრუ პატივმოყვარეობის გამო იგი უფრო აღრე-  
 ლობის საზოგადოებრივ კეთილდღეობას, ვიღრე საყუთარ ნათევამს,  
 საკუთარ წარმოდგენას, ვითომდა მან ნაკლები იზრუნა იმაზე, რაზეც  
 უნდა ეზრუნა, სახელდობრ — ელაპარაკა უფრო დინგად და დაფიქ-  
 რებულად, ვიღრე სულსწრაფად და ნაჩქარევად.

## სელობათათვის


 ყველა ქალსა და კაცს ერთი საქმე აქვს — მიწათმოქმედება, რომ-  
 ლისგანაც არავინ თავისუფლდება. პირიქით, მას ყველა სწავლობის  
 ბავშვობიდანვე, ნაწილობრივ სკოლაში მოძღვრების დაუფლების გზით,  
 ნაწილობრივ კი ქალაქის ახლომახლო მინდვრებზე, სადაც ბავშვები

თითქოსდა სათამაშოდ გაჰყავთ; მაგრამ ისე გამოდის, რომ იქ ისინი არა მარტო აკვირდებიან გარემოს, არამედ ფიზიკური ვარჯიშის სახით მუშაობენ კიდეც.

მიწათმოქმედების გარდა (რასაც, როგორც უკვე ვთქვი, ყველა მისღებს), თითოეული სწავლობს ერთ რომელიმე საკუთარ ხელობას, ჩვეულებრივ ეს ან მატყლის დართვაა, ან სელის გამოყვანა, ან ქვის-მთლელთა, მელითონოეთა და ხის ოსტატთა ხელობა. შეიძლება ითქვას, რომ ამის გარდა მათ არა აქვთ სხვა რაიმე ისეთი, რომელიც აღნიშვნის ღირსი იყოს. რაც შეეხება ტანსაცმელს, იმის გარდა, რომ იგი გარეგნულად განსხვავებულია სხვადასხვა სქესის პირთავის, როგორც მარტოხელათათვის, ისე დაქორწინებულთათვის, მისი შეკერილობა ყოველთვის ერთნაირი, უცვლელი და მუდმივია, შესახედივად საგსებით მოსაწონი, მოძრაობისათვის მოსახერხებული და სიცივესა და სიცხეს-თან შეფარდებული. და, აი, ამ ტანსაცმელს თითოეული ოჯახი თვითონვე იმზადებს. სხვა ხელობებიდან ისინი სწავლობენ კიდევ ერთ რომელიმეს, თანაც სწავლობენ არა მარტო კაცები, არამედ ქალებიც. ქალები, როგორც შედარებით სუსტები, უფრო ადვილი საქმით არიან დაკავებულნი: ჩვეულებრივ ამუშავებენ მატყლს ან სელს. მამაკაცებს ეკისრებათ სხვა, უფრო ძნელი ხელობები. ხშირად ახალგაზრდები მამის ხელობას მისდევენ, უმრავლესობას მისკენ ბუნებრივი მიღრეკილება აქვს. მაგრამ თუ ვინმეს სხვა საქმიანობისადმი აქვს მისწრაფება, მას ისეთ ოჯახს მიაშვილებენ, რომლის საქმიანობისადმიც იჩენს სიყვარულს. ასეთ შემთხვევაში არა მარტო ამ ახალგაზრდის მამა, არამედ ხელისუფლებაც ზრუნავს იმაზე, რომ იგი დარბაზისელსა და კეთილშობილ ოჯახის უფროსს ჩააბარონ. გარდა ამისა, თუ ვინმე ერთი ხელობის შესწავლის შემდეგ მოინდომებს მეორის შესწავლასაც, ამის ნებართვას ისევ იმავე გზით იღებს. როცა იგი ორივე ხელობას დაეუფლება, აირჩევს სამუშაოდ იმას, რომელიც თვითონ უნდა, თუ, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს უფრო სხვა არ ესაჭიროება.

სიფონგრანტუსთა უმთავრესი და თითქმის ერთადერთი საქმიანობაა ზრუნვა და დაკვირვება იმაზე, რომ არავინ იჯდეს უქმად, თითოეული მუშაობდეს თავისი ხელობის მიხედვით, მაგრამ არა აღრე დილიდან გვიან ლამემდე<sup>89</sup>, რათა საქმიანობივით არ დაიქანცოს, თორემ ასეთი მძიმე შრომა ხომ მონების ხეედრსაც კი აღემატება, თუმცა ასეთ ცხოვრებას ეწევიან მუშები ყველგან, გარდა უტოპიისა. უტოპიელები დღე-ღამეს თცდაოთხ თანაბარ ნაწილად ყოფენ და სამუშაოს აქედან

მხოლოდ ექვს საათს უთმობენ: პირველ სამ საათს შუადღემდე მუშაობენ, რის შემდეგაც სასადილოდ მიდიან, სადილის შემდეგ ნაშუადღევის ორ საათს ისევნებენ და ისევ განაგრძობენ მუშაობას მეორე სამ საათს. სამუშაო დღეს ვახშმით ამთავრებენ. ვინიდან უტოპიელები პირველ საათს შუადღიდან ითვლიან, დაახლოებით რვა საათისათვის უკვე დასაძინებლად მიდიან. ძილისთვის გამოყოფილი აქვთ რვა საათი, მთელი დრო, რომელიც მუშაობას, ძილსა და ჭამას შორის რჩება, თითოეულს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს, მაგრამ არა განცხრომისა და მცონარობისათვის, არამედ იმისათვის, რომ, თავისი ხელობისაგან თავისუფალმა, აზრიანად, სარგებლიანად გამოიყენოს ეს საათები რაიმე სხვა საქმისათვის. ამ დროს უტოპიელთა უმრავლესობა მეცნიერების შესწავლის უთმობს<sup>90</sup>. ისინი ჩვეულებრივ ყოველდღიურად გარიერაჟამდე<sup>91</sup> აწყობენ, საჯარო კითხვას. ეს საქმე მინდობილი აქვს მხოლოდ იმას, ვინც საგანგებოდაა შერჩეული მეცნიერებისათვის. ამათ გარდა, ყველა წოდების როგორც კაცები, ისე ქალები, დიდ-დიდ ჯგუფებად იქრიბებიან და მიღიან ზოგნი ერთ, ზოგნი კი მეორე საჯარო კითხვაზე დასასწრებლად, იმის მიხედვით, თუ რომლისკენ აქვთ მისწრაფება. თუმცა ისიც ხდება, რომ თუკი ვინმე არჩევს ეს დრო ისევ თავის ხელობას დაუთმოს, და ასეთი კი ბევრია, ვისაც რომელიმე მეცნიერების დაუფლების სურვილი არა აქვს,— მას არავინ უშლის ხელს ამაზი, უფრო მეტიც, ასეთი პიროვნება ქებასაც კი იმსახურებს, როგორც სახელმწიფოსათვის სარგებლობის მომტანი.

ნავაგაშმევს უტოპიელები ერთ საათს გართობაში ატარებენ: ზაფხულში ბალებში, ზამთარში კი იმ საერთო დარბაზებში, სადაც სადილობენ. აյ ისინი ან მუსიკას უსმენენ, ან სასიამოვნო საუბრებს მართვენ. რაც შეეხება კამათლებით თამაშსა და სხვა ამგვარ უაზრო და დამღუპველ გასართობებს, წარმოიდგინეთ, მათ უტოპიელები არც კი იცნობენ. თუმცა მათთან გავრცელებულია ორი თამაში, რომელიც რაღაცით წააგავს ჭადრაქს. ერთი—ესაა ციფრების ბრძოლა, სადაც ერთი ციფრი იჭერს მეორეს, და მეორე თამაში, როდესაც მანკიერებანი სამხედრო წესით ებრძვიან ლირსებებს. ამ თამაშში მეტად მოხერხებულადაა მითითებული როგორც მანკიერებათა შორის არსებულ განხეთქილებაზე, ისე მათ ერთსულოვნებაზე ლირსებების წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე იმაზე, თუ რომელი მანკიერება რომელ ღირსებას უპირისპირდება, როგორ ძალებს უცხადებენ ისინი აშკარა ბრძოლას,

როგორი ხრიებით ეპარქებიან შეფარვით, თავის მხრივ, რის დახმარებით ასუსტებენ ღირსებანი მანქიერებათა ძალებს, როგორი ხერხებით არიდებენ ისინი თავს თავდასხმას და, ბოლოს, როგორ იმარჯვებს ესა თუ ის მხარე.

მაგრამ აქ, შემდგომი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია უფრო დაწვრილებით განვიზილოთ ერთი საკითხი. სახელდობრ, თუ მხოლოდ ექვსი საათი ეთმობა სამუშაოს, მაშინ აქედან, როგორც ჩანს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამის შედეგად პირველი მოთხოვნილების საგნების გარკვეული ნაკლებობა შეიმჩნევა. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე როდია; უფრო მეტიც, სამუშაო დროის ეს რაოდენობა არა მარტო სავსებით საქმარისია ცხოვრებისათვის აუცილებელი მარაგის შესაქმნელად, არამედ გარკვეულ დანაზოგსაც იძლევა. ეს გასაგები გახდება, თუ თქვენ უფრო ღრმად ჩაუკვირდებით იმას, თუ სხვა ხალხების მოსახლეობის რა უზარმაზარი ნაწილი ცხოვრობს უსაქმოდ: ჯერ ერთი, ასე ცხოვრობს თითქმის ყველა ქალი — საერთო მასის ნახევარი, ხოლო თუ სადმე ქალები მუშაობენ, ივარაუდება, რომ მაშინ იქ მამაკაცები ხვრინავენ. ამასთან, წარმოიდგინეთ, რა ვებერთოელა და რა უსაქმურ ბრბოს შეადგენენ მღვდლები და ეგრეთ წოდებული ბერები. ამის დაუმატეთ კიდევ მღიდრები, განსაკუთრებით მემამულები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, კეთილშობილებსა და წარჩინებულებს უწოდებენ; მიუმატეთ მათი ჯალაბი, აღკაზმული უსაქმურების მთელი ეს ხროვა, ბოლოს ჯაშმრთელი და საღ-საღამათი მათხოვრები, რომლებიც რაიმე ავადმყოფობის მომიზეზებით უსაქმურად ცხოვრობენ — და იძულებული გახდებით საბოლოო ჯაშში აღიაროთ, რომ იმათი რაოდენობა, ვისი შრომითაც იქმნება ყოველივე ის, რითაც მოკვდავნი სარგებლობენ, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე თქვენ გეგონათ. დაფიქრდით ახლა, ამ მართლა მშრომელი ადამიანებიდან რა ცოტანი აჩინ დაკავებული სჭირო და აუცილებელი საქმით. სახელდობრ, რადგან ჩვენ ყველაფერს ფულით ვზომავთ, გარდუვალია ბევრი ისეთი საქმიანობის გამოყენება, სრულიად უაზრო და ზედმეტისა, რომლებიც მხოლოდ ფუფუნებასა და უზნეობას ემსახურება. მართლაც, მთელი ეს ბრბო, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოთი, რომ განაწილდეს იმ მეტად მცირერიცხოვანი ხელობების მიხედვით, რაც საჭიროა ბუნებრივ მოთხოვნილებათა სათანადოდ დასკმაყოფილებლად, მაშინ ასეთი უხვი წარმოებისას, რომელიც უეჭველად უნდა მოჰყვეს ამას, შრომის ფასი, ცხადია, გაცილებით ნაკლები იქნება იმაზე,

რაც მუშებს სჭირდებათ თავიანთი არსებობისათვის. მაგრამ ავიღოთ ყველა ის პირვენება, რომელიც ახლა უსარგებლო ხელობებით არის დაკავებული, და კიდევ მთელი ეს უსაქმურობისა და მცონარობისაგან დასავათებული ხალხის რიცხვი, რომელთაგან თითოეული სხვისი შრომით შექმნილ იმდენ სანოვაგეს ნოქავს, რაც მის ორ ღამამზადებელს ეყოფოდა. ასე რომ, ვიმეორებ, თუკი ამ პირვენებათა მთელ ერთობლიობას სამუშაოს მივუჩენთ და თანაც სასარგებლოს, ადვილად შევამჩნევთ, თუ რა ცოტა დრო იქნებოდა საჭირო ყველაფერი იმის საქმაო და უფრო ჭარბი რაოდენობით საწარმოებლად, რასაც სარგებლიანობისა და მიზანშეწონილობის პრინციპები მოითხოვს (ამას მიუმატეთ კიდევ სიამოვნებანი, ოლონდ ნამდვილი და ბუნებრივი).

ყოველივე ამას უტოპიაში ცხადად ადასტურებს თვით სინამდვილე. სახელდობრ, იქ მთელ ქალაქში, თავისი ოლქიანად, იმ მამაკაცებისა და ქალებისაგან, რომლებიც თავიანთი ქავითა და ძალ-ღონით შრომისათვის ვარგისი არიან, მხოლოდ ხუთასი კაცი თუ განთავისუფლებული. მათ შორის სიფოგრანტუსები, რომლებსაც, მართალია, კანონით აქვთ უფლება არ იმუშაონ, მაგრამ მაინც არ არიდებენ შრომის თავს, რათა თავისი მაგალითით დანარჩენებს შრომის ხალხის შემატონ. ამავე შეღავათით სარგებლობენ ისინი, ვისაც ხალხი სასულიერო წოდების შუამდგომლობით და სიფოგრანტუსთა ფარული კენჭისყრით სამუდამოდ უბოძებს თავისუფლებას მეცნიერების საფუძვლიანად შესასწავლად. თუ რომელიმე ამ პირთავან არ გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედს, მას უკან აბრუნებენ ხელოსნებთან. და, პირიქით, ხშირად ხდება, რომ რომელიმე მუშა ისე ბეჭითად მეცალინეობს მეცნიერებაში ზემოთ აღნიშნულ თავისუფალ საათებში და ისეთი სიბეჭითით გამოირჩევა, რომ მას ათავისუფლებენ თავისი ხელობიდან და მეცნიერთა თანრიგში გადაჰყავთ.

მეცნიერთა ამ წოდებიდან ირჩევენ ელჩებს, სასულიერო პირებს, ტრანიბორუსებს და, ბოლოს, თვით სახელმწიფოს მეთაურს, რომელსაც თავიანთ უძველეს ენაზე ისინი ბარზანს<sup>92</sup> უწოდებენ, ხოლო ახალზე — აღმუსს<sup>93</sup>. ვინაიდან უქმად თითქმის არავინ არ არის და ყველა სასარგებლო ხელობას მისდევს, აღვილი გამოსათვლელია, თუ რამდენ საჭირო საგანს ქმნიან ისინი და რა მცირე დროში. ჩემ მიერ მოტანილ მოსაზრებებს განამტკიცებს ის გარემოებაც, რომ აუცილებელ ხელობათა უმრავლესობა მათ გაცილებით ნაკლებ დროს ართმევს, ვიდრე სხვა ხალხებს. აი, მაგალითად, ავიღოთ მშენებლობის საქმე. შე-

ნობათა აგება ან შეკეთება ყველა ქვეყანაში ძალიან ბევრი მუშახელის განუწყვეტილ შრომას მოითხოვს, რადგან მფლანგველი მემკვიდრე თანდათან ანადგურებს მამის დანატოვარს. ამრიგად, ის, რისი შენარჩუნებაც მინიმალური დანახარჯებით შეიძლებოდა, მემკვიდრემ უნდა აღადგინოს დიდალი თანხით. ესეც არ კმარა, ხშირად განებივრებული გემოვნების აღმიანი უსაფუძვლოდ იწუნებს სახლს, რომელიც სხვას აურაცხელი თანხა დაუჭდა, და როდესაც შეუკეთებლად დარჩენილი ეს სახლი მოკლე დროში ინგრევა, პატრიონი იშენებს სხვაგან მეორეს და ამაზე დიდ ფულს ხარჯავს. უტობიერებს კი, რომლებსაც ყველაფერი მოწესრიგებული აქვთ და რომელთა სახელმწიფოც კეთილმოწყობით გამოირჩევა, ძალიან იშვიათად უხდებათ ახალი ნაკვეთის შერჩევა სახლების ასაშენებლად. მუშები არა მარტო სწრაფად აღადგენენ უკვე დაზიანებულ შენობას, არამედ ისე აგებენ, რომ შეკეთება ნააღრევად აღარ დასჭირდეს. ამიტომ შრომის სულ მცირე დანახარჯებით შენობები ძალიან დიდხანს ძლებს და ამ ხელობის მუშები ძნელად შოულობენ სამუშაოს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ისინი იღებენ ბრძანებას, მასალა დროებით სახლში დამზადონ, მაგალითად, გათალონ და გააპრიალონ ქვები, რათა საქმე წინ წაიგდონ.

და კიდევ, მიაქციეთ ყურადღება იმას, თუ რა მცირე შრომა სჭირდებათ მათ საკუთარი ტანსაცმლის დასამზადებლად. ჯერ ერთი, ვიდრე ისინი სამუშაოზე არიან, ზერელედ ითარევენ ტანს ტყავით ან ბეჭვით, რომელიც მათ თითქმის შვიდ წელს ჰყოფნით. როდესაც ისინი ქუჩაში გამოდიან, ზემოდან იცვამენ გრძელ მოსახსამს, რომელიც ზემოაღნიშნულ უხეშ ტანსაცმელს ფარავს. ამ მოსახსამის ფერი ერთნაირია მთელს კუნძულზე და ამასთან ესაა შალის ბუნებრივი ფერი. ამიტომ აქ არა მარტო ყველაზე უფრო ნაკლები მაუდი იხარჯება, ვიდრე საღმე სხვაგან, არამედ მისი დამზადებაც გაცილებით ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს. სელის დამზადებაზე ხომ კიდევ უფრო ნაკლები შრომა იხარჯება და ამიტომ მას უფრო ფართოდ იყენებენ. მაგრამ ტილოში ისინი უპირატესობას პირველ ყოვლისა სითეთრეს ანიჭებენ, ხოლო შალის ქსოვილში — მხოლოდ და მხოლოდ სისუფთავეს. უფრო ნატიფ ნამუშევარს აქ არავითარი ფასი არა აქვს. ამის შედეგად მათთან თითოეული ქმაყოფილდება ერთი ხელი ტანსაცმლით და ამასთან ჩვეულებრივ ორი წლის განმავლობაში ჰყოფნის. სხვა ქვეყნებში კი ერთ აღამიანს არ ჰყოფნის ოთხი ან ხუთი ხელი შალის ზედა ტანსაცმელი და ისიც ნაირფერი, და ამასთან ერთად აქვთ კიდევ ამდენივე აბრეშუ-

მის პერანგი, ზოგიერთ ნებიერას კი ათიც არ ჰყოფნის. უტოპიელს. არავითარი საფუძველი არა აქვს ტანსაცმელზე მოთხოვნილებისათვის: რამოდენიმე ხელი ტანსაცმელი მას უკეთ ვერ დაიცავს სიცივისაგან და არც სხვაზე უფრო მორთულ-მოკაზმულად ჩაითვლება.

ვინაიდან უტოპიელები სასარგებლო შრომით არიან დაკავებული და მის შესასრულებლად საქმარისია მხოლოდ მცირე შრომა, მათ ყველაფერი უხვად აქვთ. ამის შედეგად მოსახლეობის დიდ რაოდენობას დრო რჩება და ხანდახან ქალაქებარეთ უხდება გასვლა გზების შესაქეთებლად, თუ ისინი გაფუჭებულია. ძალიან ხშირად, როცა არ არის რაიმე ამგვარი სამუშაო, სახელმწიფო აცხადებს სამუშაო საათების ნაკლებ რაოდენობას. ხელისუფლებას სულაც არ სურს იძულებით ამუშაოს ხალხი უფრო მეტ ხანს, ვიდრე საჭიროა. ამ მოვალეობის დაწესება პირველ ყოვლისა იმ მიზანს ემსახურება, რომ, რამდენადაც ეს შესაძლებელია საზოგადოებრივი საჭიროების თვალსაზრისით, ყოველი მოქალაქე უზრუნველყოფილი იყოს დროის მაქსიმალური ოდენობით, რათა ფიზიკური მონობის შემდეგ დრო გამოიყენოს სულიერი სიამოგნებისა და განათლებისათვის. ამაშია, მათი აზრით, პარმონია, ცხოვრების ბეღნიერება.

### ერთმანეთთან დამოკიდებულებისათვის

ახლა კი, ვფიქრობ, უკვე დროა მოგიყვეთ, თუ როგორი ურთიერთობა აქვთ ვალკეულ მოქალაქეებს ერთმანეთში, რანაირია მთელი ხალხის ურთიერთებაშირი და როგორ ნაწილდება მათთან ყველა საგანი. პირველ ყოვლისა ვილაპარაქებ ქალაქებზე. ყოველი ქალაქი შედგება ოჯახებისაგან: ეს ოჯახები უმრავლეს შემთხვევაში აერთიანებენ ნათესავებს. სათანადო ასაქს მიღწეული და გათხოვილი ქალები საცხოვრებლად ქმრის სახლში გადადიან, ხოლო ვაჟიშვილები და შემდეგ შვილიშვილებიც ოჯახში რჩებიან და ნათესავთა შორის უხუცესს ემორჩილებიან, თუკი მისი გონიერივი შესაძლებლობანი არ შესუსტდა სიბერის გამო (მაშინ მას ცვლის მისი მომდევნო ოჯახის წევრი ასაკის მიხედვით).

ქალაქების მეტისმეტად მეჩერად დასახლების ან ჭარბი მოსახლეობის თავიდან ასაცილებლად მიღებულია სიფრთხილის ასეთი ზომა: ყოველ ოჯახში, რომელთა რაოდენობა თითოეულ ქალაქში, მიღამოთა გარდა, ექვს ათასს შეადგენს, არ უნდა იყოს ათზე ნაკლები და

თექვსმეტზე მეტი მოზრდილი. ჩაც შეეხება ბავშვებს, მათი რაოდენობა არავითარ აღრიცხვას არ ექვემდებარება. ამ ზომების დაცვა აღვილია მცირერიცხვან ოჯახებში იმათი გადაყვანით, ვინც ზედმეტია მრავალრიცხვანებში. ხოლო თუ ქალაქის გაზრდა საერთოდ დაარღვევს სათანადო ზღვრებს, უტოპიელები ამის ხარჯზე შეავსებენ სხვა ქალაქების მცირერიცხვანობას. თუ ხალხის რაოდენობა ძალიან გაიზრდება მთელს კუნძულზე, ისინი იჩჩევენ მოქალაქეებს ყოველი ქალაქიდან და თავიანთი კანონების მიხედვით აწყობენ კოლონიას უახლოეს მატერიაზე, სადაც კი უცხოელებს ზედმეტი და თანაც დაუმუშავებელი მიწა აქვთ. ამასთან უტოპიელები მოიხმობენ უცხოელთ და ეკითხებიან, თანახმანი არიან თუ არა, მათთან ერთად იცხოვრონ. თანხმობის შემთხვევაში უტოპიელები ადვილად ეთვისებიან მათ, სარგებლობენ რა ერთი და იმავე წესითა და ჩვეულებებით. ეს კი სასიკეთოა როგორც ერთი, ისე მეორე ხალხისათვის. თავიანთი წესებით უტოპიელები აღწევენ იმას, რომ ის მიწა, რომელიც ადრე მწირი და ხრიოკი ეჩვენებოდთ, ახლა ორივესთვის მსუყელ იქცევა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი მკვიდრნი უარს ამბობენ უტოპიელთა წესების მიხედვით ცხოვრებაზე, ეს უკანასკნელნი განდევნიან მათ თავისთვის არჩეული საზღვრებიდან. წინააღმდეგობის შემთხვევაში უტოპიელები ომს იწყებენ. მათ ომისათვის სავსებით სამართლიან მიზეზად მიაჩნიათ ის შემთხვევა, როდესაც რომელიმე ხალხი, რომელიც ტყუილად და უმაქნისად ფლობს მიწა-წყალს, არც თვითონ სარგებლობს და არც სხვას ასარგებლებს, უარს ეუბნება სარგებლობასა და გამოყენებაზე იმათ, ვინც ბუნების კანონით მისგან უნდა იკვებებოდეს. თუ რაიმე უბედური შემთხვევის გამო თვით უტოპიელთა ზოგიერთი ქალაქის მოსახლეობა შეცირდება იქამდე, რომ მისი შევსება არ ხერხდება კუნძულის სხვა ნაწილებიდან (ეს კი, როგორც ამბობენ, სულ ორჯერ მოხდა სასტრიდი და მძინვარე შავი ჭირის შემდეგ), იგი შეივსება კოლონიდან უკან გაღმოსახლებულ მოქალაქეთა ხარჯზე. უტოპიელებს ურჩევნიათ კოლონიებს შეელიონ, ვიღრე კუნძულის რომელიმე ქალაქი დასუსტდეს.

ისევ ვუბრუნდები მოქალაქეთა ერთად ცხოვრების წესებს. როგორც უკვე ვთქვი, ოჯახს სათავეში უდგას უხუცესი. ცოლები ემსახურებიან ქმრებს<sup>94</sup>, შეილები — მშობლებს და საერთოდ — უმცროსები უფროსებს. ყოველი ქალაქი დაყოფილია ოთხ თანაბაზ ნაწილად. თითოეული ნიწილის შუაგულში არის ბაზარი, სადაც ყველაფერია.

თითოეული ოჯახის ნახელავი მიაქვთ იქ, საგანგებო სახლებში, და სახეობათა მიხედვით ცალობით ანაწილებენ საწყობებში. იქიდან კი თითოეული ოჯახის უფროსი ითხოვს, რაც სჭირდება, და უფრლოდ, ყოველგვარი სასყიდლის გარეშე მიაქვს შინ. რატომ უნდა უთხრან მას უარი? ჯერ ერთი, ყველაფერი ხომ საკმაოდ უხვადაა და, შეორეც, არა არსებობს იმის არავითარი საფრთხე, რომ ვინმე მოითხოვს იმაზე მეტს, რაც სჭირდება. რატომ უნდა ვითიქროთ, რომ ზედმეტს მოითხოვს ის, ვინც დარწმუნებულია, რომ არასდროს არაფერი დააკლდება? მართლაცდა, ყოველ ცოცხალ არსებაში და მით უმეტეს ადამიანში ხომ სიხარბე და მტაცებლობა იმიტომ იღვიძებს, რომ სიღარიბისა ეშინია ანდა ეამაყება, როცა თავისი ქონებით სხვებს ალემატება. ი, ასეთი ჩამ უცხოა უტოპიულებისათვის.

ჩემ მიერ აღნიშნულ ბაზრებს მიეკუთვნება სურსათის ბაზრები, სადაც არა მარტო ბოსტნეული, ხილი და პური გამოაქვთ, არამედ თევზიცა და ხორცეულიც — ოთხფეხა პირუტყვისა და ფრინველის საჭმელად ვარგისი ყველა ნაწილი. საინტერესოა, რომ უტოპიულებს ქალაქების მოწყობილი აქვთ საგანგებო ადგილები, სადაც მღინარის წყალი ჩარეცხავს ყოველგვარ ჭუჭყას და სიბინძურეს. მათ იქიდან ჩამოაქვთ ხორცეული მას შემდეგ, რაც მსახურები დაკლავენ და გაატყავებენ პირუტყვას. უტოპიულებს აკრძალული აქვთ საქონლის დაკვლა-გარტყავება ადგილებზე, ვინაიდან ამით, მათი აზრით, თანდათანობით ქრება გულმოწყალება, ჩვენი ბუნების ყველაზე უფრო აღამიანური გრძნობა. გარდა ამისა, კრძალავენ ქალაქში ყოველგვარი სიბინძურისა და ჭუჭყის შემოტანას, რადგან ლპობა აბინძურებს ჰაერს და შეიძლება სხვადასხვა ავაღმყოფობაც გამოიწვიოს.

გარდა ამისა, ყველა ჭუბაზე დგას ერთმანეთისაგან ტოლი მანძილით დაშორებული ფართო სასახლე. ყოველ მათგანს თავისი სახელი ჰქვია. მათში სიფოვრანტუსები ცხოვრობენ. თითოეულ ამ სასახლეზე მიწერილია ოცდათი ოჯახი, თხუთმეტ-თხუთმეტი ორივე მხრიდან. ამ ოჯახებმა აქ უნდა ისადილონ. თითოეული სასახლის სამზარეულოს გამგე გარკვეულ საათებში მიდის ბაზარში და მოაქვს მათთვის საკმარისი საკვები.

უტოპიულები პირველ რიგში ზრუნავენ ავაღმყოფებზე, რომლებსაც საზოგადოებრივ დაწესებულებებში მყურნალობენ. მათ ოთხი საავადმყოფო<sup>95</sup> აქვთ ქალაქიდან მცირე მანძილის დაშორებით. ეს საავადმყოფოები იმდენად დიდებია, რომ ამდენსავე დაბას შეიძლება

გაუთანაბრდეს. ეს იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ავადმყოფებმა, რაც არ უნდა ბევრი იყვნენ, ვიშროდ და ამიტომ მოუხერხებლად არ იგრძნონ თავი, ხოლო მეორეც ის, რომ გადამდები დაავადებით შეპყრობილნი რაც შეიძლება შორს იყვნენ ჯანმრთელებისაგან. საავადმყოფოები შესანიშნავადაა მოწყობილი, აღჭურვილია ყველაფრით, რაც კი ჯანმრთელობის აღსაღენადაა საჭირო; მოვლა აქ მეტად სათუთი და გულმოლებინეა, ავადმყოფებს თავს დასტრიალებენ ყველაზე უფრო გამოცდილი ექიმები. ამიტომ, მართალია, აქ არავის არ გზავნიან იძულებით, მაგრამ მთელ ქალაქში არ მოიძებნება ვინმე, რომელსაც ავადმყოფობის შემთხვევაში იქ ყოფნა არ ერჩივნოს სახლში წოლს.

მას შემდეგ, რაც საავადმყოფოს სამზარეულოს გამგეები მიიღებენ საკვებს ექიმთა დანიშნულების მიხედვით, ყველაფერი საუკეთესო თანაბრად ნაწილდება სასახლეებზე, სიფოგრანტუსთა რაოდენობის შესაბამისად, მათ შორის იგულისხმება აგრეთვე თავალი, მღვდელმთავარი, ტრანიბორუსები, ელჩები და ყველა უცხოელი (თუკი ასეთები არიან; ჩვეულებრივ კი ისინი ცოტანი არიან და თანაც იშვიათად; მაგრამ როდესაც კი გამოჩნდებიან, მათთვისაც აქვთ კეთილმოწყობილი სახლები).

სასახლეებში სადილისა და ვახშმისათვის დადგენილ საათებში იქრიბება მთელი სიფოგრანტია, მათ სპილენძის საყვირი მოუხმობს (გარდა ჰოსპიტლებში ან სახლეებში მწოლიარე ავადმყოფებისა). არავის არ ეკრძალება სასახლეში სადილობის შემდეგ ბაზრიდან საკვების მოტანა სახლისათვის, რადგან ყველამ იცის, რომ არავინ არ აკეთებს ამას ტყუილუბრალოდ. მართლაცდა, თუმცა არავის არ ეკრძალება სახლში სადილობა, არავინ არ აკეთებს ამას სიამოვნებით, ვინაიდან უზნეობად და სისულელედ ითვლება დროის დახარჯვა უარესი საკვების დამზადებაზე, როდესაც სასახლეში, რომელიც ასე ახლოსაა, მზადაა მდიდრული და უხვი სუფრა. ამ სასახლეში ყველა სამუშაოს, უფრო ჭუჭყიანია და ძნელს, მონები ასრულებენ. მაგრამ საკვების მომზადება და აგრეთვე საერთოდ მთელი სადილის გაძლოლა ეკისრებათ მხოლოდ ქალებს, თანაც მორიგეობით ყოველი ოჯახიდან. სადილის დროს მეინახენი შემოუსხდებიან სამ ან მეტ მაგიდას, იმის მიხედვით, რამდენი არიან. მამაკაცები სხდებიან შიგნითა მხარეს, კედლის გასწვრივ, ხოლო ქალები — მოპირდაპირე მხარეს, რათა იმ შემთხვევაში, თუ მათ რამე შეემთხვათ მოულოდნელად (ეს კი ხანდახან ემართე-

პათ ორსულებს), შეეძლოთ იდგომა და ძინებთან წასკლა სხვების შე-  
უწუხებლად.

ძინები ცალკე სხედან ჩვილ ბავშვებთან ერთად საგანგებოდ გამო-  
ყოფილ სასაღილოში, საღაც ყოველთვის არის ცეცხლი და სუფთა წყა-  
ლი, ზოგჯერ კი აკვენებიც დგას, რათა შეიძლებოდეს იქ ჩვილ ბავშვთა  
ჩაწყენა ან, სურვილისამებრ, სახვევებისაგან გამოხსნა, ცეცხლ-  
თან ახლოს დასვენება, გართობა. ყოველი დედა თვითონ კვებავს თა-  
ვის შვილს, სანამ ცოცხალია ან აგაღმყოფობა არ შეუშლის ხელს. თუ  
ასეთი რამ მოხდება, სიფოვგრანტუსთა ცოლები ეძებენ ძინას, რაც  
არაა ძნელი: ქალები, რომელსაც ამ მოვალეობის შესრულება შეუძ-  
ლიათ, უფრო დიდი სიამოვნებით ასრულებენ მას, ვიდრე სხვა რომე-  
ლიმე სამუშაოს, რადგან ყველას ქებას იმსახურებენ თანაგრძნობისა-  
თვის და აღზრდილიც თავის ძინას დებდდ მიიჩნევს. ძინათა თავშესა-  
ფარშია ყველა ბავშვი, რომელსაც ჯერ ხუთი წელი არ შესრულებია.  
რაც შეეხება დანარჩენ არასრულწლოვანებს, რომელთა შორისაც  
ირიცხება ორივე სქესის ყველა ახალგაზრდა, რომელსაც საქორწინო  
ასაკი არ შესრულებია, ისინი ან ემსახურებიან სუფრის წევრებს, ანდა,  
თუკი მათ ეს თავიანთი წლოვანების გამო არ შეუძლიათ, იქ მღუმა-  
რედ დგანან. ისინი იკვებებიან იმით, რასაც მათ მაგიდებთან მსხდომ-  
ნი მიაწოდებენ, რადგან სხვა გარკვეული დრო არა აქვთ გამოყოფი-  
ლი ჭიშისათვის. პირველი მაგიდის შუა ადგილი უმაღლესად ითვლება  
და, ვინაიდან ეს მაგიდა სასაღილო ოთახის ბოლოში გარდიგარდმო  
დგას, იქიდან მოჩანს მთელი შეკრება. აქ სხედან სიფოვგრანტუსი და მი-  
სი ცოლი, მათ გვერდით ზის ორი უხუცესი, რადგან ყველა მაგიდას-  
თან საერთოდ ოთხ-ოთხნი სხედან. თუ ამ სიფოვგრანტიაში ტაძარიც  
არის, მაშინ მღვდელი და მისი მეუღლე სხლებიან სიფოვგრანტუსთან,  
ისე რომ ისინი სუფრის თავში მოხვდნენ. სუფრას ორივე მხრიდან  
უზის ახალგაზრდობა, შემდეგ ისევ მოხუცები სხედან და, ამგვარად,  
მთელ სახლში ტოლები ერთად არიან თავმოყრილი და თანაც შეთვი-  
სებული სხვა ასაკის აღამიანებთან. ამ ჩვეულების მიზეზი, როგორც  
ამბობენ, არის შემდეგი: ვინაიდან სუფრასთან დაუშვებელია რაიმე  
ისეთის გაყეთება ან თქმა, რაც არ შეეფერება უხუცესთა საზოგადო-  
ებას, მათი დარბაისლობისა და მათდამი პატივისცემის გამო, ეს აკა-  
ვებს ახალგაზრდობას უადგილო და უხეში სიტყვა-პასუხის ან უკად-  
რისი ქცევებისაგან. აქ კერძები რიგდება არა მიყოლებით, დაწყებული  
პირველი ადგილიდან, არამედ ყველაფერ საუკეთესოს პირველ რიგში